


მუზეუმი



# მათრახი

იუმბორისტ. ჟურნალი



ხელის-მოწერა არ მიიღება. მასალები გამოიგზავნება ამ ადრესით: თიფლის, Типография Шрома, Теофили Болквадзе

FL 11379



საქართველო  
პარლამენტის  
ბიბლიოთეკა

აბაგი ფერეთელი

# ს ვ გ ა რ ო ზ ი

## აკაკის ლექსებისა.

ჩემო თავო, ვეღარ გკურნებენ წამალით...  
დაღმართ-დაღმართ დაუფევი წა მალით,  
იქ ჩაბრძანდი, სად გელიან ლოდებით!  
ბარით, ნინბით, კუმბითი და ლოდებით!  
დაიფიწყე, ვინც გახსოვდა მარად ის!  
ხელ-დაკრეფით განისვენე მარადის!..

„დედა შეილობამ ბევრს არ ვთხოვ:  
შენს მიწას მიმბარეო,  
ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო  
ჩემო სამშობლო მხარეო“.

დავუძღურდი, გენჭკრა გივი ოცნება.  
ნაღლიანად ჩემს თავზე მეცინება  
და ღმერთს ვეცდრებ: „ღმერთო მომეცი ნება,  
რომ მეღირსოს საფლავში დაძინება“.

უსამართლო დაცინებამ  
ჩვენში ბევრჯერ გამაშწარა,  
ცხრა მთას იქით რაღათ მინდა,  
გინდ მაქონ და გინდა არა!  
ვისაც ვთხოვდი შენწყობას,  
ჩემთვის წყალიც არ დაღვარა,  
რომ მოგვედები, რაღათ მინდა,  
გინდ მიტვირნი გინდა არა!

გინდ მშობიღეს. გინდ მწყუროდეს.  
დავდიოდე ტრტიკანა,  
არ ვინატრებ შენს ქონებას,  
არ მსურს ვიყო შენისთანა!

მისთვის მომცა ღმერთმა ენა,  
სიმართლისთვის ვაფიქროვ;  
ჩაგრულ მოძმეს მოვეხმარო,  
თუნდა ქვითაც დავიკირო.  
ვიცი, ცრემლი მამაკაცსა  
შეარტყვენს და არ შეშვენის,  
მაგრამ მიჯობს ჩემად ტანჯვას  
ცრემლი ვღვარო, არა მრტყვენის!

სანთელი ჩემი ხორცი,  
სიცოცხლე — მოკლე პატრუქი:  
ნათელი — ქუუა-გონება,  
იმათგან გამოწაშუქი...  
— ჩემი ხატია სამშობლო,  
სახატე — მთელი ქვეყანა  
და რომ ვიწვოდე, ვდნებოდე  
არ შემიძლია მეც განა?

მწერიც კი ცხოვრობს თანხმობისა,  
ფუტკარი... ქიანჭველაო!..  
და ჩვენ რათ ვმღერით ცალ-ცალკე  
ოდელა-დელა-დელაო!  
ერთობა ჩვენთვის ტახტია,  
მტრებისთვის სახრჩობელია!  
მტერს ვაი დედა ვდახბოთ  
და ჩვენ ვსთქვათ: დელა-დელაო!

რაც გინახავს, ვეღარ ნახავ;  
ძველი დროი წასულია!..  
რალას ვარგა, გინდ მხეც იყოს,  
თუ დასაყლეთს დასულია?..

„ახლა დაგვიღვა სულ სხვა დრო,  
ამაღლებული შრომითო  
და სისხლი ოფლად შესცალვე  
ვერას გახდები ომითო“.


„ჩვენი ჯაფით მონაყვანი  
სხვასთან მიდის საზრდო პური;  
შინ ცოლ-შვილს შიშშილი გვიკლავს,  
მაგრამ ვინ მიუგდოს ყური?  
მათსა ზაზრდოს სხვა იტაცებს,  
სტირის ცოლი მეტეხური,  
შიშშილისგან რძე უშრება  
წივის შეილი უსუსური“.

ვაჯარო, მაგ შენ აბაზში  
სისხლი და ოფლი ჩვენი!  
როგორ არა გაქვს ღვთის შიში,  
ან კაცის არა გცხვენია ..

სოფლებს ატყავებ უშიშრად  
და თამამად ხრავ ქალაქსა...  
სისხლ-მეტი ხომ არ გაშვითებს,  
ხომ არ თხოულამ დალაქსა?

გამიქვავდეს მაშინ ენა,  
თუ რომ ვისმეს მივეფერო,  
და გამიხმეს ეს მარჯვენა,  
თუ სიმრულით სიმთ ვაფედრო!..  
რა გინდ ბედით ვიყო კრული,  
საშინელიც მექნეს ბოლო, —  
არ შედარება ჩემი გული  
გინდა ქვითაც ჩაეიქოლო!..

ექ, ქართველო, აბა მითხარ, ვინა ხარ?  
მოწინავეს ჩამორჩი, უკანასკნელ წინა ხარ,  
უცხო კაცად არ ვარგხარ, აღარც არა შინა ხარ,  
ორთა შუა ავღიხარ, სანაგველს ფინა ხარ!



არაინ მომცა მე საშველათ დაცემულს ხელი  
და სიურმიდანვე შევეზარდე ამა მონებას!  
ალარ მაძიმებს ეს მონების მძიმე უღელი...  
სული მკვდარია... და არც ველი მე იქ ცხონებას!..  
და როს მოვკვდები, თუ მის შემდეგ ჩემი შვილები  
აიცილებენ მამის ხედვრსა. უბედურებას,  
მამინ საფლავში შეიძვრიან მსწრაფლ ჩემი ძვლები  
და სული ზეცას მინც იგრძნობს ტკბილ ნეტარებას.

ვინ სვა ბოლომდე ამ სოფლის  
სიტკობების ფიალი?  
ვის არ უნახავს მის ბედის  
წალმა-უკულმა ტრალი?

მალღით წვიმა მოდიოდა,  
ნაბადმა ვერ დამფარაო,  
დამსველა მან თავიდან  
ფეხებამდე მასხარაო!

ხუშართაც ვარგებულხარ  
ვაე-კაცობით პირველიო,  
მაგრამ ვერ იქ თორნიკობას  
თუმც მის ადგილს სულ ელიო.

მივაძახე: ჰინჰარში ნუ ვარდები!  
ნუ გგონია იქ ია და ვარდები.  
შვიბრალე შენი თავი, იცოდე  
მაგ შარბათში საწამლავს სევამ, იცოდე!

არა !.. აჰყავდეს იმედი  
გულს ვერ გამიტებს ჰალარა!  
გმირებს დაეძებს; უყივის  
ჩემი დაფი და ნალარა.

კრულ იყოს მისი სახელი,  
ვინც მთა გასცვალის ბარზედა,  
თვის ტომის დამწუნებელსა  
ჰირი მიუფა კარზედა.

ვადავარების მოსურნე  
ბუნებისაგან კრულია,  
მისი პირადი ღირსება  
ყოველგან დაჩაგრულია.

ჩამოდევით! შორს!.. შორს ჩვენგანი!..

აგვიღია თქვენზედ ხელი:  
შევიტყუეთ, რომ იულა ხარო,  
ნამდილ ისკარიოტელი.  
თქვენი მიეთ-მოეთობა  
ველარ გასურის, თქმა არ უნდა.  
წალმა წახელათ, თუ უკულმა,

მინც ვით, ხართ იულა;  
ის, ვინც გთვლიდათ მოციქულად,  
ან აქამდე რად მოსტყუედა,  
თორემ ჩვენ სულ ვამტკიცებთ,  
რომ იყავით, თქვენ: იულა.  
პირში ტკბილი, თავ-კატუნა,  
გაიძვერა, მელა-კულა...  
აწუ კი ყველამ დაინახა,  
რომ ყოფილხართ თქვენ იულა.

ჩემისთანა პატრიოტი  
განა არას სადმე კიდე?  
გარწმუნებთ, რომ ვერ შეხვდებით  
გინდ მოლაზოთ კიდით-კიდით...  
ღვინოს ბევრს ვსვამ, მიყვარს მწვადი,  
არტალა და ჩახობილი...  
ფლავსაც ხომ სულ ხელითა ვკვამ,  
რომ არ მოხვდეს ჩანჯალს კბილი!

რაც შეჰფერის მამულიშვილს,  
ვასრულებ მეც ყველაფერსა,  
უკულმართის ხმით ვიმღერე  
ქართულ შრავალ-ემიერსა.  
მე არაფერს არ ვმუშავებ,  
მაგრამ სხვებსაც არ ვაძალებ...  
რაც რომ მერგო მამა-პაპის,  
ნელი-ნელი „ვაპარადალებ“:

და ფულს ვხარჯავ კნიაზურად...  
ისე, როგორც ჩალა-ბზესა!..  
მამის სული გამიშვი,  
ფვიცავ მაინაცვლის მუხსა...

ერთი სიტყვით, ქართველობა  
გამჯდარი მაქვს სრულად ტანში,  
რო მოგწონვართ, თქვენც კი ვატყუაფო,  
აბა, დამიკაროთ ტაშო!..

„გრემულში მიღვასეს ნაღველი  
და შეღახდ ას მასხარა,  
შეკ თაველი არას ნარგვი,  
ზოგან კა ცხარე ძმარა.  
ზოგს ეტკობება, ზოგს არა,  
მაგრამ რა ჩემი პრადია!  
ბუღბუღი ვარ და კვალზედ  
თანასწორ მომდგრადია.“

„მუშუბო, თქვენი მარჯვენა  
იკურთხოს იფელით ნაბანი!  
მიწას თქვენი ღოგინა  
და ღაჟგარდი ცხა სანანი  
მამხლარა არის კვ თქვენი  
შეუბდალავი გონება,



რომ შარტუკესავით არ შეგინს  
მშრომელ კაცს სხვისა მოხება!

„ესლანდელ ხაფიგატებს,  
ამ მხსენას წუწქ კატებს  
ვერ აწამებს ვერაინ  
ვერც ჭვანს და ვერც ხატებს.  
ათია უძლები გული  
და შეიდალეუდი სული  
მუდამ ამას თხოულობს,—  
ფული, ფული და ფული“

„გამოთავიდა ქვეყნსა,  
ჩანსა უკუდამ ტრიალეებს,  
ვირა კოკობ ვარდს დაჭვალბობს,  
ბულბული ვირბნე ჭირალეებს!  
ზამთარში ს. ცხე გავწყუბებს,  
ზაფხულში დატბა ზამთარა;  
სამეხნა ხრამდა ხალი,  
ქართულმა სამხის დაეთარა!  
ქედები სკრანს სამართალს,  
მართლებს ურთა; ბარგაქს,  
და ქვეყნის მტერა იფა  
დასწინის მამულის-შეაქს.  
ბრევი და უსწავლეები  
თავში უდვას ჭკვანებს...  
ცქერეს ეს ვნა ბარგმა-და,  
ნეტავი რას იგვანებს!“

## სიკვდილი \*

I

მაშ ეს ყოფილა სიკვდილა... მეტი არაფერი  
თავლები დახუჭული მაქვს, მაგრამ ვხედავ, გუ-  
ლი აღარ მიძვირს—და ვგრძნობ კი. გონებაც ისევ  
თავისავე რიგზეა. მხოლოდ სხეული დაძლეუნებია:  
აღღამა მინდა—ხელ-ფეხს ველარ ვანძრევე, ხმის ამო-  
ლება მსურს—ენა არ მემორჩილება. ჰევე, მოდი და  
იერიკავე ახლა!..

მადლობა ღმერთს!.. რა გაფწყობა!.. ენახოთ  
მინც, კიდევ რაღა იქნება! — „სიკვდილი წერაა“,  
ამბობს ხალხი; „უმიზეზოთ მე არაივის ვერჩიო“,  
უთქვამს სიკვდილს და მართალიც არის. ჩემი სი-  
კვდილის მიზეზი რაღა იყო? ანთება?.. ეს ანთება

რაღა გამოიწვია? ანა დაფუცლოთ ყური, საზოგადო-  
ება რას ამბობს! „დალუღვეარი კაცი იყო, თავის პა-  
ტრივი არ იცოდა, თბილათ ვერ იცვამდა. ცივ ოთახ-  
ში იდგა, საზაფხულო ტანისამოსით დადიოდა“ და  
სხვანი. ფიქვ ვერ უყურებთ?! ბრალს მევე მდებენ.  
ახირებული თუ გინდთ, ეს არის, თქვენმა შვიმ!  
„ვის არ უნდა თავი მეფეთ და ცოლი დედოფლა-  
თა“?!. ვანა მე კი მძულდა ჩემი თავი, მაგრამ სა-  
შვალემა?.. „არა, ეგ ტუყილია, მავას რა ბეგერი  
რამ უნდოდა“?! სარწმუნოთ გაიძახინა—„ჩვენ-  
თვის ეთქვა, ჩვენ მოვუბრუნებდით მავ საშუალება-  
საო“! სტყუიან, თქვენმა შვიმ! ჩემებრ საწყლებს მე  
თვითონ არას გამოვარიამედი, და მდიდრებისთვის  
რო მიმეპართა—გამოკიხავდენ, სირსცილიში ჩამავ-  
დებდენ, და სირსცილის ისევ სიკვდილი სჯობია!..  
და რა აქეთ ნეტავ საბოლიშო? ან ადრე ვინ რას  
თხოვდა მავათ და ან ახლა ვინ რას ესაყვედურება,  
რომ პირიქით მკვლარს მამტყუნებენ? ასეა ადამიანის  
ბუნება!.. თავისი თუ არ ეხარჯება რა, თავის ვა-  
მოჩენას არაფერი უჩრეენია. კუდაბზიკობა ცხოვრე-  
ბის ერთი ჭხნაკავანია. ექ, რაც იყო იყო!..  
ახლა გვიანდაა ყოლიფერი. მადლობა ღმერთს, რომ  
ჭირისუფლები არ დამეწყურენ, თვარა შეიქნებოდა  
ერთი ვაიუშველბებელი, ტარილ-ყვირილი, მოთქმა,  
თავცემა... ყველაფერი, რასაც კი უფლო ჩვეულე-  
ბა მოითხოვს, და ის თქვენ სტერს, რაც მე დღე  
დამადგებოდა! სულით დავიტანჯებოდი. ახლა კი...  
მაგრამ, რომ არც ახლა ვარ მოსვენებით?.. ეს აუ-  
რებელი ხალხი რომ შეკრებოდა, რაო? ჩემს სიკო,  
ცხლემი არ უკითხავართ, ავათაყოფთ არ უნახავართ-  
და ახლა კი თავს იტებენ. სიკვდილს შემდეგ სინა-  
ნული? სინანული კი არა და ის კიდევ! რა ბზანე-  
ბაა!.. ყველას თავ-თავისი საკუთარი გულის სიფხანი  
რამე აქვს და მკვლარს მიზეზთ მიღებს... მამადლის.  
ზოგი მზოდელ მიტომ მიდის, დარწმუნდეს.  
მართლა მოვკვდი, თუ არა? ზოგი ამბობს გუნებაში:  
კოცხალი ხომ მინახავს,—მოდი, ახლა მკვდარსაც  
დავხედავ, როგორიაო! ზოგი რას ფიქრობს და ზო-  
გი რას! ზოგიც მარტო ფეხის ხმას აყლია.. სა-  
საზოგადოთ კი ყველა იმ აზრისაა, რომ უკანასკნე-  
ლი იერი უნდა მოვიხადოთა.

დიდება შენ, ღმერთო! პირველი ვალი როდის  
ახსოვდათ, რომ ამ უკანასკნელს აღარ ივიწყებენ?  
მაგრამ ჩანს, რომ ეს მეორე უფრო ადვილი და გა-  
სართობი ყოფილა.. აღბათ ამის მიზეზია რომ  
ხალხმა თავი მოიყარა და სახლურ ტყევა აღარ არის...  
საკვირველია, რომ ხმამაღლა ლაპარაკს ველარავინ  
მედღეს მკვდართან... თითქოს ემზოდესთ ჩემი!..  
უკუღმა სამართალი თუ გინდთ, ანა ეს არის!..

\* ამ 15-დ წლის წინად ჩემი უზადლო მგოსანი  
ავით იყო და ეს მისი მადლიანი, სხარტული ნაწარმოები მა-  
შინდელია. რედ.

სიკაცულში არავე მერიდებოდა, მიყვიროდენ, უსამართლობით და ცილისწამებით მაყრებდენ, და ახლა კი მართლის თქმასაც ვეღარ ახერხებენ ხმა-აღლა... მხოლოდ ჩურჩულობენ! დიახ, ჩურჩულობენ, მაგრამ სული ფიზიკლი ყოფილა, ვერაფერს გამოაპარებენ... ულოფერი მესმის... \*მევე! ეს არის ჩენი სიკაცულე! მოვიდა - იცხოვრა, მოკვდა - წავიდა და გაქრაო! სთქვა ერთმა ქუჩის კოლოფმა დიდი შეფერებით, თითქო საკვირველი რამ ეთქვას ახლათ. — \*დითიას! ეგ არის მსოფლიო კანონო! — უპასუხა თავის ქნევითა თვალების გაჭყეტით მეორემ — და გაჩუმდენ. — სამწუხაროა ახლანდელი ქართველების მდგომარეობა! აი ახლა ეს: ნიჭიერი კაცი იყო, მაგრამ უკუღმართათ გაატარა თავისი დლე და სოფელი! ვერც თავის თავს არგო რამე და ვერც ქვეყანას!.. შექმლო — დაწინაურებულყო და კაცი გამხდარიყო! ახლა კი თითქოს არც ყოფილი ყოს ქვეყანაზეო! \* ბბბა ერთმა ბობოლამ. \* მარ-თალსა ბბბნებთ, მაგრამ ეგ საზოგადო, საყოველთაო სენია დღესო, \* მიუგო მეორემ — და გავიდენ მეორე ოთახში. \* ღმერთმა აცხონოს, მაგრამ ცული ენის პატრონი კი იყო: თვითონ არას ვერჩადა, მაგრამ თუ გამოიწვევდი, ერთს მისთანას გეტყოდა, რომ გულიდან აღარ ამოგცილდებოდა!.. მაგის შიშით ბბა ვეღარ ამოგველი!.. ნამეტანი იყო, ნამეტანი!.. თაფლი, ბრიყვი, უზღელი, შეუპოვარი. ეპ, მა-დლობა დერთმა, მოგრაში... გადავრჩითო!.. \* წილ-აპარაკა ერთმა. — \*რას დაფიქრებულხართო? \* ეკი-თხებდა ერთი ვინმე ახალგაზდა გაქალარაგებულ პუ-ბლიცისტს. — \*ამაზე ვფიქრობდიო! — აძლევს პა-სუხს და ათითებს ჩემვენ, — \*მაგის ნიქის პატრონს შექმლო ბევრი ნაყოფი მოეტანა ჩენი ქვეყნისთვის, და უნაყოფოთ კი ჩაიარა მაგისმა შრომაშიო! ეგ სულ მისი ბრალია, რომ მე არას მიჯეროდა და თავის ნებაზე დადიოდაო. \*

— კაცო, შენ ჩემი სთქვა!.. არ დამიჯერა, არ იქნა, ვერ დაეწყებე ჩემმეთარ წერა!.. ორმოც წელიწადს წერდა, და ქართული კი მაინც არ იცო-და... ვერ ისწავლა!.. თუ არ გადავასწორებ მაგის ნაწერებში, კაცს არ წაეკითხება!.. რაღაც უცნაური ენაა, მიწრულიო!.. ჩაერია მეორე

— მექ!.. ღირს კი ვასწორებლათ? ისე არ მოიაბება აზრი მაგის ნაწერებში, როგორც ურის სახლში მირონი! ცარიელი ლბაბუცობა და დ აზღან-დარობაო!.. დაუმატა მესამემ. — \*ეგ ხომ ქველა მართალია, მაგრამ მაინც უნდა პატრივით დავასაფ-ლოათ ქვეყნის დასახავათ!.. მე სიტყვასაც კი ვამ-ზადებო, \* განვარძო მეოთხემ.

— მეც! მეც! მეც!.. გაიმეორეს სხვებმაც და გავიდენ.

— რა გშენის ეგ შავი კაბო! წაიღებოდა კა ერთმა ფრანტმა ახალგაზდა ქალს. \*ეგ უკანონო სიაო? \* მიუგო სიამოვნებით გაწითლებულმა ქალმა და ციერათ შეხედა. — \*სიყვარულმა უღრობა არ იცისო!.. \* — უპასუხა ფრანტმა — და გაჩუმდენ.

ამგვარი რამები ბვერი მესმის, გულზე ვსდევ-ბი, მაგრამ სულს ხომ გული არა აქვს!.. სსსსს!.. აგერ პატარა ბავშვი ეკითხება დედას: \*დედიკო, ახალ ლექსებს დილად დაწერს? \*

— აბა, შეილო! — უპასუხებს თვალტრემილიან დედა, — ვეღარ დაწერს.

— ლატომ? ..  
— რატომ და აქ აღარ იქნება, ფუფალსთან წივიდა.

იქ ლას გააკეთებს?  
— იქ... შეეცდებოდა ფუფალს, რომ ნიკო გააბედნიერე და გარკი კაცი გამოიყვანო!.. შენი შვამდგომელი იქნება, შეილო, და შენც ილოცე!.. შეავედერე ღმერთს!.. პირჯვარი გამოისახე!..

აი აგერ ღვდლებიც მოდიან. პანაშვიდი უნდა იხადონ!.. ვმადლობ შენ, ფუფალო, რომ ეს ერთი ქრისთფილი მაინც გამჩენია აქ!.. ეტყობა, სოფლი-დის არის ჩამოსული.

აი შე-მოსენ. . . საწთლებს არიგებენ... ინთე-ბენ!.. მიღის ერთი ახალგაზდა ღვდელთან და ეუბნე-ბა: \*მამაო, მგონს, უცხო ენაზე აპირებთ პანაშვი-ლის გადახლას? \*

— დიახ. მამო როგორ?  
— აჰ, ნუ ინებებთ მაგას!  
— კი, მაგრამ აქ ბვერი მისთანებიც არიან, რომ ქართული არ იციან.

— მე მგონია, თქვენი მკვდრისათვის იხდით პა-ნაშვიდს, და არა ცოცხლებისათვის! — აწვევტიებს სიტყვას.

ამიგეს წესი!.. ვათავდა!.. შეიქნა ჩოჩქოლი. დამიპირეს ვასენებ!.. მაგრამ წამოვდა ისეც ის ახალგაზდა და ამბობს: \*მოითმინეთ, პატრონო!.. უნდა ეს ლექსი. მოისმინოთ, სადაც განსვენებულის უქანასქნელი სურვილია გამოცხადებულო! \* ამოი-ლო და წაიკითხა:

**ანდრძი:**

ოთხი ფიცარი კუმოსთვის უბრალო, შეუშვევლიათა, და ოთხი მუშაც წამლები, რომ გამასვენონ ხელათა.

არც გვირგვინები, არც სიტყვა, არც რა ცერემონია!.. არ მინდა!.. მოლას ანდაზა მეც ბევრჯელ გამოგონია.

მინდა, რომ ბაღში დამარხონ,  
სადაც არ იყოს სხვა მკვლარი!..  
ზაფხულში მწვანით შეგმოსოს  
და თოვლს მაყრიდეს ზამთარი!

მზე საუფასო სხივებს მტყორცნიდეს,  
დაქოქათებდეს ზედ მივარე  
და ვარსკვლავები ქიკუკა,  
მიბნენით მოსხივ-ცისკარე.

ღიღ-ღიღით გასაღვიძებლათ  
შაშვმა მისტიწინოს ზეფსური,  
რომ მის მაღალ ბან-სალამურს  
სიკვდილმაც დაუღიღო ყური.

სალამოს ვარდის ჩიტუნამ  
ჩასკენით ჩამკენესოს „ნინია“,  
იქვე მახლობლათ ბუჩქებზე  
მის აფრჩიოს რა ბინა!..

და ამდენ ნატურის გვირგვინათ  
ერთსაც დაესახავ სხვა რამეს,  
კავშირსა სიკვდილ-სიცოცხლის,  
ორივე სოფლის სიამეს!

ის მრჩენია ძვირფას ძეგლს,  
ყოველგვარ სანახაობას,  
რომ იქ უქმე-დღე ვეზადვეს  
მოზარდე ქართველ თაობას!

იქ თამაშობდეს, ცელქობდეს  
ენბრცებოდეს ქართველ ერს!..  
თავისებურათ დამღერდეს  
ძველებურ „მრავალ-ჟამიერს“!..

—

ყველამ ყური დაუგვლო. მოისმინეს და სიცილი  
დაიწიეს. მხოლოდ მეთაურებმა კი სთქვეს: „ახლა  
გვიანდა არის, მომზადებული ვართ, ხალხი ცერე-  
მონიას ვლის... უცდის და ხომ ვერ მოვატყუებ-  
თა!“ ამას რომ ყური მოეკარი, გამეკინა გუნებაში:  
არა, მეც თუ სულელი არა ვარ, სიცოცხლეში ვინ  
ამისრული სურვილი, რომ სიცილის შემდეგ გამი-  
გონონ-მეთქი!.. დამავლეს ხელი და ვამიტანეს.

ღიღადლ ხალხს მოეყარა თავი; ქუჩები სულ  
გატენილი იყო, მაგრამ მწუხარება კი ვერაიეს შე-  
ვატყუე, — ისევ ქალებს, ბავშვებს და უბრალო და-  
ბულ ხალხს უფრო ეტყობოდათ!.. სხვები კი მოვა-  
ლომბას იხილდენ. — უფრო მეტი სიერის ხალხი  
იყო!.. მე მგონია, სახარბაბლოზე რომ ვინმე წაეყვა-  
ნათ, მაშინაც ისევ ეს და ამდენივე ხალხი მოგროვ-  
დებოდა. — სულ ტაბათი მიმასვენებენ. — ეს გვირ-  
გვინები რაღა ოხრობაა!?. „წმიდინდაათ ღმერთო,  
წმინდაათ ძლიერო!“ გღობოს მოსწავლეთა გუნ-  
დი... ეს კი არა მწყინს!.. შშობლიური რამ მხედ-  
ბა გლეს!.. მაგრამ, მინც ნეტავ მაღე გათავდებო-

დეს!.. უჰ, როგორც იქნა! ძლიერე არ მწუხუნდეს სა-  
ფლაგამდი — მაღლობა ღმერთს, *სახლს კარს* მანატრებს  
პირლია საფლაგამდი — და მოვარჩები!.. მაგრამ რა ბრძა-  
ნებაა?! აქაც ერთი ქირა... უარესიც მემართება:  
მეზიან ვარს, გაუკეთებით რაღაც მაღლობი ადგი-  
ლი, დგებიან ზედ ვილა-ვილაკები და ასაქაქებენ,  
ენას!.. რას არ ამბობენ, ღმერთო ჩემო!.. „ჩაესვენ-  
ნა მზეო“, „დაბნელდა მთავარო“, „მოსწყუნდ ვარ-  
სკლავებიო“ და სხვანი. ასე ვატლევაც იქნება?! მე-  
რე, ვინ ამბობს ამ სიტყვებს ასე ურცხვან? სულ  
ის ხალხი, რომელსაც, სანამ ცოცხალი ვიყავი, ჩემი  
ღანძღვისა და ცილისწამების მეტი არაფერი გაუკე-  
თებია!.. ჰე, ახლა კი მომასწრეს და კულდაზიკობენ!  
ოჰ, რა შეურაცხობდა ეს ამითი ფარისველური სი-  
ტყუები და ცბიერი აღერსი!.. ამით უნდათ, რომ  
მევერმეტყველობით თავი გამოიჩინონ და გული  
იფერონ. — უჰ, ძლიერე არ გაათავეს!.. მაღლობა  
ღმერთს! ახლა კი თავს მანებებენ!.. ძლიერე არ გა-  
დავრჩიო!

აი, დახურეს კუბოს თავი... აქედენ... აკაკუ-  
ნებენ... ჩამიშვეს სამარეში... მიწას მაყრიან... ახლა  
კი მშვიდობით, ჩემო სამშობლოე!.. ენახათ, იქ  
რაღა იქნება.

## II

სამარეში სულცი თან ჩამყვა და გამიკვირდა.  
„ოი ოიო!“ — შემომძახა ვილაკამ. — ვინ ხარ, რომ  
თავზე მაყრებს და ძვლებს მამტრევიო?!

— თვითონ შენ ვინა ხარ, რომ მაგრე ოხრავ  
და კენსი-მეთქი, — დაეკითხე მეც.

— მეე? დიდი ხნის მკვდარი!.. აქაური მიწის  
შვილი ნუ გგონივარ!.. მემისთანებუა ნათქვამი:  
„სადღური სად მოკვდება, სად უთხრიან სამარესაო“?

— როგორც ვედავ, მაგისთანა ანდაზა ერთი  
მეც მერგო ახლა: „ვერიდებოდი ღოღოსო, დამხე-  
და სოფლისა ბოლოსო!“ მე იქ, მაღლა მეზარებო-  
დი, და შენ კი აქ დაბლაც, დამხედი?

— ვინ მოგწვიე? მე აქ ჩემთვის ავერ ოთხმო-  
ცი წელიწადი მარტო-მარტო ვწევარ და არავის  
შეუწუხებია.

— ჩემი ნებით არც მე მოკუსულვარ! რაღა  
გაეწყობა, უნდა მოვითმინოთ და ავიტანათ ერთ-  
მანეთი; მაგრამ ეს კი უნდა მითხარა: თუ მართლა  
ამდენი ხნის მკვდარი ხარ, აქამდე გზა ვერ გაიგვიწ  
საქიოსკენ?

— ვიყავი, მაგრამ არ მიმიღეს... დამპარუნეს.  
შენ იქ სისლში ვასერილხარ და არაყით გაგიბა-  
ნიაო... ვაწყუნდა გეკირებო! საკანარო დამდევს და  
აქვე გამომგზავნეს. ერთი საუკუნე უნდა დავჩინე,  
და მერე კი უნდა გუელდე გზას. ოცი წელიწადი



კიდევ მიკლია, მაგრამ ღვთის მადლით დრო მალე გარბის.

— ღმერთმა გისმინოს და გზა მშვიდობისა მოგცეს! მიანიც რას აკეთებ ამ ქვეყნათ?

— არაფერს, დღე აქა ვწევარ, და ღამე კი, დღე და ღამის გაყრიდან მამლის ყვილაში, მალე დავეტანტალობ, როგორც მეწე და მოჩენება, ხალხს ვაფრთხობ და ქვეყანას ვაშინებ.

— ვერაფერი ხელობა გქონია. თუ იცი, მე რამდენ ხანს უნდა დავრჩე აქ?

— ორმოც დღეს, რომ ცოდვილ დედამიწას საუკუნოთ გამოვთხოვო; მტერსა და მოყვარეს სათითოთო უნდა დაუარო, რომ ზოგს შენდობა მისცეთ და ზოგს შენვე მოსთხოვო. მაშინ ვაიწმინდები და აქაური ჭუჭყი საიქოს აღარ მიგყვებაო.

ამ საუბარში ჩვენ კიდევ შემოგვადამდა. დღე და ღამე გაიყარა— და ჩემი მეზობელი ამოძვრა მალე. მეც თან ამოვეყვი, მაგრამ ის თავისთვის წავილა და მე ჩემთვის.

ყველაზედ უმაღლე ვინის სტამბისკენ გავექანე. მუშები მოწყენით დაძვდნენ: ჩემზე ჩამოვდნით საუბარი.

— ჰე, ახლა ხომ გეშველა? სულ იმას წუწუნებდი, იმის ხელს ვერ ვარკვევ და ბევრ დროს მაკარგინებსო! მორჩი და მოისვენეო, — უთხრა ერთმა მეორეს.

— შე ვაჰო, გულის წყრომის დროს რასაც კი იტყვის, განა ყველა მართალია? ნეტა ის არ მომკვდარიყო, და მე შრომა ერთი ათათ მომმატებოდაო, — უბასხვა მეორემ.

— მართალს ამბობ, მე და ჩემმა ღმერთმა! მეც შემხვედრია მისი სტატიის აწყობა, გაპოვირება ამოკითხვა, — მაგიერთ ბოლოს სიამოვნებას მინახავსო, — დაამატა მესამემ: ახლა კი ვეღარც მის სტატიას ავწყობ და ვეღარც სხვასაო.

— რატომო? კითხეს; — რატომ და სტამბიდან გამომაგდესო. ისეთი სტატია მოიტანეს განსვენებულზე, რომ მე აწყობა შემეზიზნა და უარი ვსთქვიო. ჯერ ვითომ ქებით იყო დაწვებული, მაგრამ ბოლოს კი ისეთი ლანძღვით თავდებოდა, რომ ქებას აქარწყლებდა და გინებას აორკეცებდაო. გამომაგდეს. რა გეწყობა?! თუ ვიზოვნე სხვაგან ადგილი, ხომ კარგი; თუ არა და შინ ვაუღლებდი გზას, გურისკით: ღობი ბევრი მეშობა და ლობიოვო, — სთქვა, ამოხსენეშა და გაჩუშდა. მე მისმა სიტყვებმა შემაწუხა. „ღმერთმა გიშველოს-მეთქი“; ვაივლენ გუნებაში და გამოვედი ვარეო.

პირდაპირ ერთი რედაქციისაკენ წავედი. რედაქციაში თავი მოეყარა ყველა თანამშრომელს.

ერთი მათგანი რედაქტორის თანამშრომელს გასცხებოდა: — მაშ არ დაბეჭდავთ? არა? ~~არა მიხედავს~~

— ის, რომ ურიგობაა ახლა მაგისტანს სტატიების წერა! ისევ თბილია, ჯერ კარგათ არ გაცხებულა, და შენ კი თავზე ქვა და გუნდას აყრი, — ამას არც მტერი მოგიწონებს და არც მოყვარე.

— შენ სიციხელშიც არ ყოფილხარ მიანიც-დამანიც მისი წინააღმდეგი, და ახლა ხომ სულ... მომიტე ჩემი სტატია, რომ თვითონ რედაქტორს წავაიკობო.

მომწყინდა მათი ყურის გდება და შევეძვრი რედაქტორის ოთახში. რედაქტორი მოწყენილი მარტო-მარტო თავის თავს ესაუბრებოდა: „რამდენი ხანი ვიცნობდი და ჩემს დღეში მისგან პირადი წყენა არ მახსოვს. საზოგადოთ, მართალია, ერთი მიხანი გქონდა, მაგრამ ის სულ სხვა გზით მიდიოდა და მე სხვით. ჩემი გზა იმას არც ერთხელ არ დაუქოლავს, და მაშ რათ მძულდა? რათ მეგავრებოდა? მაგრამ ენის მიტანა-მოტანა რა საძაგლობა რამ არის! მუშას რომ გადაატანიო რამე ერთი სახელიდან მეორემდე, განა იმას გზაში მტვერი არ ეყრება და არ ჩირქიანდება? ასეთივეა გადატანილი სიტყვა: სულ სხვა ფერთა გადღის და სხვა ხორცათ. ვინებამ ეს ყველაფერი იცის, მაგრამ გული კი უსამართლო ენის ამყოლია. ეჰ, ვინ დიიჯერებს, რომ მისმა სიკვილიმა მე ასე გული მატკინოა!“

ამ დროს შემოვიდა თანამშრომელი და გადასცა სტატია. რედაქტორმა ჩამოართვა, გადაიკთხა რამდენიმე პედატი, წარბები შეიქუშნა, გადასცა უკანვე და წყრომით უთხრა: „იმის დაბეჭდვა არ შეიძლება: შენ რა გესმის, რა დროს რა უნდა. ეს სტატია რომ დაბეჭდილიყო, დღე შენ რედაქციაში არ დაგვიყვებდი“. კულამოქუშებული თანამშრომელი გამოვიდა ვარეთ ბუბუბულით: „მოდი და გაუგებ ახლა მაგათ თავი და ბოლო? ხან ასე და ხან ისეო. ჩემ ჭირს, თუ არ დაბეჭდვენ! ჩემთვის სულ ერთია, მარჯვნივ ვიქნები, თუ მარცხნივ! — მეორე სტატიაც ხომ მშათა მატქს ამ სტატიის წინააღმდეგი. იმას მეორე რედაქციაში წავიღებ — და სხიარულით დამიბეჭდენოა“. — სთქვა და გასწია.

ლავედვენი მეც, რედაქციაში დიდიან-პატარიანა ყველა დიდი წუწუნებულთა დაგვიხვდა. ჯერ კიდევ თვალზე ტყემლი არ შემოამოდათ, რედაქტორს კიკო აღარ ტენებოდა. თამამათ შევიდა დაწუნებული სტატიის ავტორი რედაქციაში და ღობილოთ გაუშვირა ხელი რედაქტორს, მაგრამ რედაქტორმა არ ჩამოართვა და უთხრა: „სხვა რომ არა იყოს რა, ორი შენი ხნის მიანიცა ვარი, და მაგერ შედიდურათ რომ მიტურტურებს ხელს, როგორ არ იცი, რომ უხელოობააო!“

— მე... მე... მე სტატია მოვიტანე მიცალღე-  
ბულზეო, — სთქვა ცოტა შერცხენილიმა სტუმარმა.

— ქებაა, თუ გინება? — დაეკითხა რედაქტორი.

— რასაკვირველია ქება!

— მაშ არ შეიძლება დაბეჭდვა, წაიღეთ უკან-  
ვე. თქვენსთანა კაცების ქება-დიდება იმას სიკო-  
ცხლემშიც შეურაცხყოფით მიაჩნდა, და ახლა ხომ  
სულ საფლავიდან ამოღება იქნებაო. — შერცხენილი  
მწერალი გამოვიდა გარეთ, რედაქსამსულოვიით დადგა  
ქუჩაზე და ამოიხვნეშა: „ჰევე! აღარც იქით და  
აღარც აქით! ახია ჩემზე; რას ვერჩოდი განსვენე-  
ბულს? ერთი საწუალი ვინმე ვიყავი, მრული და  
მართალი ყველა თავში მიფარუნებდა; იმან პირვე-  
ლათ შემწინა, თავზე ხელი დამისვა, გზაზე დამა-  
ყენა, და მე კი ყვეფა-ღრწნით გადავუხადე! სულ  
ლუგება ბურის ბრალია. ღმერთმა დასწყველოს სიღა-  
რბემ! არც ერთხელ საყოფარათ ჩემთვის მათარახი  
არ გადაუქნეია, მაგრამ მისი შორს ვატყორცნილი  
შოლტა, როგორც მე, ისე ჩემისთანებს ბევრს პირ-  
დაპირ ხედებოდა, — იი თუ გინდა ეს, რომელიც  
გულიდან აღარ ამომშორდა:

„რას წუწუნობს ის პატარა მურია!

ხომ არ შია და ან ხომ არ სწყურია?

ვისი არის და ან სადაურია?

ქუცი! ქუცი! კულქიციანა მურია!

რომ არ მოდის?... თითქოს უმადურია!

რა ყოფილა, ხედავთ, ბრიყვი მურია?!

კიდევ რა ყეფს?... რაღაც უცნაურია!

თათი! თათი! სალახანა მურია!

მისი ყვეფა მხოლოდ მარტო შურია...

გადაუდგებ — გაჩუმდება მურია.

ვინც გააძღვებს, მისი შინაურია,

იმას მონებს და კულ უქნეცა მურია.

ან კი რა ქნას? ბუნებით უღმურია.

ქუცი! ქუცი! საცოდავი მურია!

ლაქლყაა კულქიციანა მურია,

თუ არ შია და ან არცა სწყურია“.

ჟი, ახლა ეს არაფის არ შეებება, მაგრამ  
ბევრს კი მისი სარკე გონია, და მეც გულში ისრით  
მესობდა. ჩანს, რომ ალბათ მეც მურია ძალდი ვარ.  
ვიყო... ვიყო, ოღონდ კი თავი როგორმე ვავითა-  
ნო. პატარანი ძაღლს ხან გაუჯავრდება, კარში  
გაავადებს — და ხან ისევე დაუბახებს და მოეფერება.  
ძაღლს რა უუირს, სანამ ყვეფა კი შეუძლია და კუ-  
ლის ქიციანი. ეჰ! ჩავალ ისევ ჩემს ძველ რედაქცია-  
შიო...“

შემეზიზილა, მაგრამ მაინც შენდობა მივეცი და  
გაეკეპნე „პურ-ღვინოსაცენ“, რადგან ვახშობამაც  
შოატანა. იქ ნაცნობები ვახშობათ ისხდნენ და მე მი-

გონებდნენ. ჩემი ნათქვამი გაიმეორეს უკანადადნენ.  
ხარხარობდნენ და დროს ატარებდნენ. ერთხელ კი თბან-  
მა აავსო კიპა ღვინით, წაუტკია თავი და სთქვა:  
„ღმერთმა სალუქუნო განსვენება მისცეს, სამის მანე-  
თი კი გაყვა ჩემი საიქიოს, მაგრამ შენდობილი  
იყოსო!“ შევეხვე თვალებში ურცხვით მოტრახახეს,  
მაგრამ რაღას ვეტყოდი. ღმერთმა ხომ იცოდა, თვი-  
თონ გამოამართვა ერთხელ ჩემი მანთი და აღარ  
დაუბრუნებია. სხვებმა, ვითომ ხან მათეკამათ, ანე-  
გლოტები გაიმეორეს, მაგრამ ყველა ჩემი არ იყო,  
ისიც დამახინჯებული, და „ღმერთმა შეგინდოს-მე-  
თქი — ვავიღვე გუნებაში გულნატყვნმა და თავის  
დასამშვიდებლათ წავედი პირდაპირ გულითად მგო-  
ბართან.“

შვეედი ოთახში თუ არა, ის ვნახე, რაც სი-  
ცოცხლემი მეჯავრებოდა: ჩემს გულითად მგვობარს  
სხვა ვინმე უჯდა გვერდით და ანუღუმებდა: „კარ-  
გია, კმაზა, არ გშენის მოწყენა: შენ ცოცხლებზე  
იფიქრე, და მკვდარი ღმერთს ჩააბარე. წაივია, მო-  
ჩნა, — ხომ ვერ დააბრუნებო?“

— შენ კარგათ იცი, ჩემო სიცოცხლეო, რომ  
მე ის შენსავით არ მყვარებია: ის მიყვარდა ისე,  
როგორც მახლობელი ნათესავი, და შენ კი... უთხრა  
აღერისთ ქალმა და ჩაუდგა ხელი ხელში. კაცმა  
ხელზე კოცნა დაუწყო. მე გული დამწყდა, და სხვა  
რომ ველარაფერი მოვახერხე, ფენჯერზე დავაკაუ-  
ნე. შეერთენ, წამოიკვირდნენ ზეზე, კაცი მიდგა  
ფენჯერთან, და რომ ვერაფერი დაინახა, სთქვა: „ჩი-  
ტი უნდა ყოფილიყოსო!“ გაბრუნდა და ისევ აღე-  
რისი დაუწყო ქალს. მე კიდევ პირიდანღვზე უფრო  
ძალღმით მივებალე და მივებალე ფენჯერს, მაშინ  
კი მართლა დაფეთებული ქალი გულში ჩაეკრა კაცს  
და იმანაც ვასამხნევებლათ ხელები მოხვია. ვსთქვი:  
თუ ასე ვფართვე ესენი, მე სანუგუმოს ვერას ვნა-  
ხავ-მეთქი; მოგხსენი გულშეწებებული და ისევ  
საფლავში ამოყავი თავი.

ამ პირველმა დღემ ბევრი ვერაფერი მასიამო-  
ნა. მეორე დამეს, მესამეს, მეოთხეს... ორმოცე  
დღის განმავლობაში სულ დავიარე, რაც და ქვეყნათ  
ნაცნობები მყავდა. ღმერთო, რა არ ვნახე? რა არ  
გავიგე? მტრებზე და მოკვარებზე სულ სხვა თვა-  
ლით დავინახე. ავიც და კარგიც მხოლოდ ახლა გა-  
ვარჩიე. იმით ამბავს, ერთხელაც იქნება, მოვასხე-  
ნებთ... მაგრამ ახლა კი ყველას შენდობა მოვსთხო-  
ვე და გამოვიხოვე ქვეყანას. მეორემოცე დღისა  
მომიკთხა სულთამსუთავმა, შემვიღდა ფრთათ და გა-  
მაქანა საიქიოსკენ.



## არ მომკვლარა.

(მიხაძე აკაკისა)

ქართველ ხალხს სიამაყე  
არ მომკვლარა, მხოლოდ სძინავს,  
მას სხეული დაექანცა,  
მისი სული ისევ ბრწყინავს.

დიდებული აზრი, მცნება  
არასოდეს არ მოკვდება:  
მას დროებით მხოლოდ სძინავს,  
მაგრამ ისევ წამოდგება.

მა — ნი

## ჩაჰქრა სანთელი...

აკაკის ხსოვნას

დადნა, დაიწვა, ჩაჰქრა სანთელი,  
ტანჯულთა გულის მანათობელი;  
ჩაჰქრა სანთელი, მაგრამ თვის ალით  
აღანთო გრძნობა ჩაგრულთ ტრფიალით!..  
დასახა მცნება: ხორცი — სანთელათა  
და სული კიდევ მის პატრუქათა;  
თვით მარად ერთო, სინათლეს ჰჰენდა  
და სხვათა გულში სხივს აჩენდა;  
დაიწო იგი... სხვა კი აღანთო,  
უთხრა: ანათეთ, ვიდრემდის ხართო...  
და თუმც ისინი ჯერ ოდნე ბეუტყვენ —  
თვალს ხან ახელენ და ხან კი ზუტყვენ;  
მაგრამ თანდათან უფრო ენთება  
და მის ნათელი გარს ეფინება...  
და შენი ხსოვნაც, მამათმთავარო,  
შვილის-შვილითათვისც ზეაღად იქნება!..  
ნეტარ არს შენი სახელი, სიტყვა,  
აზრი და ნიჭი, შემოქმედება;  
მაგრამ ის ყველა, რასაც განვიციდი,  
ორს სიტყვით როგორ გამოითქმება  
და ისიც მაშინ, როდესაც თვალზე  
ცრემლი ვერ დგება, ღაწვზე ინთქება!..

მიხ. ნინოწმინდელი.

## აგონაჰენსი.

ეჰ, სამშობლოვ, წამებულო!  
ვინ დაჰკარგე, იცი განა?  
ის — რომელიც შენ გეტრუოდა  
ყოველთვის და ყოველგანა.

ის, რომელიც ვანუტყვლად  
გვერდში იდგა მშრომელთაწინაშე  
შეაყვარა — მუშაობა,  
სახლი, კარი, ბაღი, ყანა.

უსწავლელი მუშა ხალხი  
გონებაზე მოიყვანა  
შეაჩვია წიგნის კითხვა,  
დაასწავლა ანა-ბანა.

ტკბილის ერთ დავიწერა  
ზღაპრები და გამოცანა,  
სახალისო საკითხავი  
არ გვიანხავს იმისთანა.

ჩაგვინერგა მტკიცე აზრი:  
სიყვარული მშობელიანა,  
სიამაყე, მტერთან ბრძოლა  
და სიუხვე სტუმართანა.

ამ ბოლო დროს განიცადა  
კუდი დრო და კუდი ხანა,  
დაიქანცა, — ხალხის კვენსა  
მეტი ვეღარ აიტანა.

ოჰ, სიყვდილო, უღმობელო!  
ვინ მოგვტაცე, იცი განა?  
ეს — მგოსანი აკაკი,  
მისთვის სტირის მთლად ქვეყანა.

გურჯინთელი.

## მისალმება.

მეგობრებო! კვარა ძილი,  
გამოფხიზლდეთ ძველებურად;  
ღარაჯი ვართ გამოცდილი,  
დავეტრიალდეთ ჩვენებურად.  
ქალაქებს და დაბა-სოფლებს  
რევიზია გაუკეთოთ,  
ვინც არ ინდობს ქვირის და ობლებს  
ანგელოზი დაუფეთოთ.


ჩვენ მათრახი მისთვის გვიდა —  
ბრიყვის ზურგი ავატუნოთ;  
ვინც არ არის გულით წმინდა —  
ვატყვოთ და ავატუნოთ.  
მეტრიაზა, გაიმყვრა  
მულამ ცსდენოთ, გავამწიროთ,

ვისაც მოსწონს ჩვენი მღერა—  
ვაკინთო და გავახაროთ.

რომ პირ-ნათლად ვიმსახუროთ—  
ბევრი გვიცდის სამთრახოთ:  
ზოგი ეხლა შევხუროთ,  
ზოგიც კიდევ შევინახოთ.

გადაგვიტყდეს ხელში ტარი—  
თუ მოყვარეს მოვერიდოთ,  
ჩვენი თავი ნახოთ მკვდარი —  
მტერს თუ არ გამოვეციდოთ.

#### მათრახოსანი.



## კითხვა-პასუხი.

— მარკვი: რი არს მთრახი?

— მთრახი არს ჯოხი, რომლისა წვეროსა ზე-  
და მიმაგრებულ არს თასმა და თასისა ბოლოსა  
ტყინი ხმოვანებისათვის დასძენენ ნაჭერსა ღვედი-  
სასა.

— რა ნივთია მთრახი?

— მთრახი არც საჭმელია და არც სასმელი,  
არცა სასწავლო ნივთია და არცა სათამაშო, არცა  
დგამი (მებელი) და არცა ჭურჭელი, ხოლო წყა-  
ლობითა მისითა შესაძლებელ არს მოიპოვო ვითარ-  
ცა საჭმელი, ვერცა სასმელი, მეოხებითა მისითა  
შეიძლება მკონარე ანუ ზარმაკი მოსწავლე სწავლა-  
სა შინა განიბროს, მთრახითვე შეიძლება როკვი-  
დეს ანუ ცეკვიდეს დგამისა ზედა მწოლარე გინა  
მჯდომარე, მხოლოდ ესე ვითარი დამოკიდებულ არს  
მთრახის ღონიერ-გონიერ ხმარებასა ზედა და ვინცა  
შეიგნოს მთრახის სრულ სახიერება და არა უგუ-  
ლებელს ჰყოს ხმარებაი მისი, შეიძინოს მოყვანის  
და მსახურნი ფრიალ, რამეთუ წერილ არს: „შიში  
შეიქმს სიყვარულსა“, ხოლო მთრახსა ესე ვითარი  
ძალეჲს და ამიტომაც დაუთლებულ აქეთ ყოველთა  
მოწესრიგეთა და ხარკის აშკრებთა იხმარონ იგი  
და ზურგსა ზედა ტულაშენი ჩააქარონ ამოხმები  
და შფოთი და გამოიწვიონ ქანქარისა ერთი ჯიბი-  
დან მეორეში გადაქანქარება და...

— დააცბრე ენაი შენი და კარი მძინერი წაგე-  
თა შენთა, რამეთუ არა არს მეტი საჭირო და უტან-  
მე განსწავლია შენი.— ახლა მარკვი მე, უკეთუ უწყი,  
რათ უწოდა მიმარქმელმან ღვთის მოყვარემან თეო-  
ფილემ ესე ვითარი სახელი ამა გავხეთს?

— ადვილ არს პასუხება მაგისი: პირველთა  
იმიტომ, რომ იცის გემო იმისი და კვლავაცა მოე-  
ლის, მეორეთ მთრახი ესე ეცდება ვიზიტ საოჯე-  
ლად და განმტკიცებთ თვისისა ძალისა ზურგსა  
ზედა ყოველსა დაეცხუნოს დამსახურებისა მებრ  
მისისა და არავინ იქნას შენდობილ და უფრო  
მწვეთე ეწყვიტინოს მთრახი იმასც კი, ვინცა ეც-  
დების ცნობით ან უმეტრებით, მტრობით ანუ შუ-  
რით და მთრახს შეხვედრებს არა სამათრახოსა და  
გიოხრა შირი ესე თემურაზული:

სალამი შენი მთრახო,  
თუ არავისა დახათრო  
მართალსა ზგადეფართხო“,  
მტყუანი გამათრახო!

მათე.

## სახელდახელო.

გერმანიას ევოპებით—სიმშლით სული ამოგ-  
ხდებაო, პურს არ მოგცემთ და რაღა ჯაპრა-ღოზა-  
ნით იომებთ. დაგრჩება ოხრათ ტყვია-წამალი, პუ-  
ლეზიოტები, ზარბაზნები, პაეროპლანები და ღირ-  
ებალებიო.

მადლობა ღმერთს, პურიც ბევრი გვაქვს, კარ-  
ტაფილიც, სიმინდიც, ქერიც, ფეტვიც. ჩვენისთა-  
ნა მდიდარი და ბედნიერი განა სადმე არის ცრი?  
ისე გაუხლბით საქვს გერმანიას, რომ კულით  
ქვა ვასრაოლნოთ... ოსმალო? ის უბედური ხომ  
ჩვენი სიმინდით იკვებება, და სიმინდს რომ აღარ  
მივცემთ, რაღა ეშველება საბარალოს! მშვიერი კა-  
ცის ბრძოლა და ომი გამიგონია?..

ასე ვემუქრებით ყველას და დახე ჩვენ ბეჩაო-  
ბას! ჩვენ თვითონ არ მოგვაცლდა პური ტფი-  
ლისში?..

რუსეთი უშველებელი უზარმაზარი ბელელია  
პურისა. კაცისია უმდიდრესი ქვეყანა მთელ რუ-  
სეთში. ძვირფასი თვალთა, ამბობენ, მეფის გვირ-  
გინისა. პროფესორი ლოკუნაევი ამტკიცებს: კაც-  
ისია იმდენად მდიდარი ქვეყანა, რომ მთელ რუ-  
სეთს შეინახავსო.

კარგი და პატრიოსანი, მაგრამ ღიღ სიმდიდრეს  
ღიღი უნარი და კონდა უნდა მოხმარებისა და შე-  
ნახვისა. სიმდიდრეს მოვლა უნდა. ქვეყანა სასევა

ქურდ-ბაცაცებითა და მძარცველებით. ისე გამოავა-  
ლიან პირიდან ლუკმა პურს, რომ მაშინ მიხვდები  
— წამართვესო, კუჭი რომ ტირილს დაიწყებს.

სწორედ ამ ქურდ-ბაცაცების და გაიძვრა ვაქ-  
რების ბრალია, რომ ქალაქში ლუკმა-პურის შოვნა  
გაჭირბა.

ლილით, შუადღისას, საღამოთი ფურჩეებსა და  
თორწებს იძენი ხალხი ეხვეოდა, რომ ფურჩე  
გერმანელების მიერ ალყა შემორტყმულ ბრიუსელს  
წარმადგენდა და თორწე—ანტერპენს.

თორწე, ნუ იტყვი, ვაჭრებს ფქვილი რკინის  
გზის სადგურზე ელავათ და არა ჰყიდნენ. რა გვეჩ-  
ქარებო, ფიქრობდნენ ვაჭრები. ფული შვიდ ანახდა  
მაქვს ნაყლი. ამა ჩოთქი ჩავადლო, რას ვიგებ ფუთ-  
ზე? მოტანა, შენახვა, ფულის სარგებელი, ქრთამი,  
ფლსტანი... ფული როგორ უნდა გაყვილო? მანან-  
და რამდენია? ცხრა აბაზი? ვა! მანათზე ორი აბაზი  
მომივა რა ჰკუა? ქვეყანა ინგრევა, ვენობაა. იქ—  
ლემენტა, აქეთ თათარია, იქით სპარსელია. იქ  
ინგლისელი ჩხუბობს. ფრანკუნი ლემენტს ეომება.  
მე ხომ აფიციარი არა ვარ. პენტისა ვინ მამკემს?  
ჩემი დროც ეხლა არის. მოდი, ასე ემეს ვიქ... ის  
ჩემი ფქვილი სადგურში ეწყოს, პურს არა მიხზეს  
და წყალს. ხალხს რომ მოშოვა, პურიც გაძვირდება,  
მა რა ჯანდაბა იქნება ერთიკ ენახოთ და ბედმა  
ნიყვილოს და გზა შეიკრას. ამა მაშინ იქნება ჩემი  
ბენეფისი... ვოქვათ, ფული ფქვილი ერთი თუმანი  
გახდა! ამა ვიანგარიზო, რამდენს მოვიგებ! გავკეთ-  
დი კაცი რაღა.. მერე თუ უნდა ლემენტმა გაი-  
მარჯვოს, თუ გინდა ფრანკულმა, მე რა მენადლე-  
ბა? წვილ-შვილი კაცი ვარ. თათარი რომ კიდევ  
არდაგანში მოვიდეს და მითხრან — თეს უშველეო,  
რითი უნდა ეუშველო? რაც მეტი ფული მექნება,  
ის არა სკობია? გაიტენე ჯიბე ფულითა, და გინდა  
თათარი მოვიდეს, გინდა ყიზილბაში. გინდა მაშინით  
წამბანდი მოსკოვში, გინდა ავტომობილით. ამბობენ,  
მოსკოვში ეხლა უშიშარია — ვერც ლემენტცი და ვერც  
თათარი მოსკოვში ვერ მივაო.

ამ ვაჭრების გამო კინაღამ სიმშლით სული  
ამოგვება.

ქალაქმა თავი გამოიღო. ავლავმოთ ვაჭრებო.  
მოდი და ჩვენ თითონ ვიყიდლოთ ფქვილი და მეპუ-  
რეებს დაუროგოთო. მერე ფული? ქალაქის კასაში  
თავგები ბუქანს უფლიან. ვა! ბანკები რა ჯანდაბათ  
გინდა? სთხოვა ქალაქის გამგებამ მთავრობას—  
ორმოცი ვაგონი მოგვეცი — ფქვილი უნდა მოვი-  
ტანოთო. მთავრობამ უბოძა 40 ვაგონი. ქალაქის  
გამგებამ როსტოვის მეწისქვილეს შეუთვალა —  
არიქა, მალე ფქვილი გამოიგზავნეო, ფული ნაღ-

ლია — „კუბეკი“ ბანკი მოგცემს — ფულის მეტი რა  
აქვს!

გამოგზავნეს ორმოცი ვაგონი ფქვილი. ქალაქამდე  
ერთმა ვაგონმა მოაწია. ნახეს — ფქვილი კი არა,  
ქატოა. ნახეს მეორე ვაგონი — ღლები, ოდეკალი-  
ნი, ხავერდი, ღუმელები, სარკეები, ლილები, სულ  
„მოდნი“ საქონელი.

ფქვილი რაღა იქნა? გზაში ჩარჩა, ვინ იცის  
რომელ სადგურზეა?..


ეს კიდევ ახალი ოინია ვაჭრებისა. მა რა ეგო-  
ნა ქალაქის გამგებამ? „კუბეკი“ ბანკში ვაჭრები  
ბძანდებიან, ქალაქის სამკოში იგივე ვაჭრები ბძანდ-  
ებიან, ბირჟევი კომიტეტში იგივე ვაჭრებია. ყველას  
კული კულზე აქვს გადაშული.

მერე როგორ მოხდა, რომ ფქვილი გზაში დარ-  
ჩა და ქალაქში ქალაქის ვაგონებით პულრი და სა-  
პონი მოვიდა?

ეპ, თქვე დალოცვილო... ქრთამი ჯოჯოხეთს  
ანათებსო, ნათქვამია, და იგივე ქრთამი, თქვენგან  
არ მიკვირს, ფქვილს პულრად ვერ გადააქცედა?

სად არის ქარგი პატრონი? აიღოს ხელში მათ-  
რახი და ერთი თუ ორი ამ ოინზაზეს..

ეშმაქის ფეხი.



ახალ წელს

ძველმა წელმა სისხლით მორწყა  
თვალ-უწვედნი მინდორ-ველი,  
ახალ ქვეყნის წესსამუსრად  
ხელში იპყრა შავი ცელი.

სისხლის ზიერთში, ცრემლის ზღვაში  
ააკურა — კაცთ სამყარო,  
განთიადის სხივი ჩაჰკლა  
და მოსწყვეტა შეგის წყარო.

კვლავ დათახა მან ქვეყანა,  
შემოარტყა ნისლის რკალი,  
კაცთ სამეფოს გაღიძებულს  
დაატეხა ქარ-გრივალნი.

მოსპო სვეტი სინათლისა  
ხალხის გულში ამართული,  
ბოროტება გაამეფა  
და დასთარგუნა სიყვარული.

დედას შვილი გამოხატა,  
მოძმეს მისი მეგობარი,  
სატრფოს გული ამოპლიჯა  
დააყენა სისხლის ღვარი.

შავი ფიჭვი ახარობს არეს,  
არსათი ხსნა, არსით შველა,  
შენ შენგატრის, ვით ახალ სხივს  
დიდი მცირე, ერთხმათ ყველა

მოგვევლინე, გააკშაშდი,  
ობოლ სატრფოს მოგმხარე,  
გამოიხსენ ტყვეობიდან  
გაამხნევე, გაახარე.

უკუ აგდე ძეგლი წელი  
შეარყე უკუნეთი,  
მოსპე შური, სისხლი, ცრემლი  
დაამხსებრიე ჯოჯოხეთი.

გოგია.




### ა ვ ა ნ ს ი

„შე კი მაინც სულ ვეცნა,  
არ ვსტირია“.

ას შემთხვევაში ოთხმოცდა ცხრამეტჯერ და-  
მერწმუნეთ, რომ ავანსი კარგი და სასარგებლოა.  
აი, თუ გინდ წარმოიდგინეთ, სამსახურში ხართ,  
ხაზინიდან ყოველ თვიურად (ესე იგი ყოველი თვის  
21-ში) კაი გემრიელი ულუფა გეძლევა, უფროსი  
ან შენ გწყალობს ან შენს „სჯულიერ მეთუღეს“  
(იმ მეთუღეს, რომელიც შენს საბუღარში კაჯანებს  
და სხვისაში კვერცხსა სდებს), და ავანსით სამი  
ზვის ჯამაგირი გამოგიწერა. კარგი და კარგი! შე-  
იძლება ამ ფულით შენი მეთუღე ავარაკში წავიდეს  
— გული ვადაყოლოს, გაერთოს და მისი მოშორე-  
ბით დროებით თავიდან აიცილინო მისი ბუზღუნე და  
შენც იცხოვრო როგორც რუსები იტყვიან „უცხო-  
ლო მდგომარეობაში“. ვისაც ცოლი ყავს და ეს

დროებით უცხოლობის ტყბილი ყამი არ ვანუტლი,  
ურჩეუ ვანიკადოს და დასტკებს.



აიღეთ ავანსით სარგებლობა მეორე მდგომა-  
რეობაში. წარმოიდგინე: უცხოლო, შედერებული ვა-  
ცი ხარ, საცოლოც არჩიე, თვალი თვალში გაუ-  
ყარე, შეიფარე შეგიფარა, ვირჩეუ ავანსით, ესე  
იგი მის გასჯულიერ მეთუღესამდი, აკოცო, უჩქმი-  
ტო და თუენდ ვადააშაშ და ავანსათ ერთი „უკუ-  
რიერიც“ შესძინე, — ეგვეც კარგია. მერწმუნე, ჯერის  
წერამდის საცოლოს ხევენა-კონან მტლაშა-მტლუში  
აკრძალული ხილია და მაშასადამე იშვითი ტყბი-  
ლიც არის...

აი კიდევ მესამე შემთხვევა: წარმოიდგინე ქა-  
თული ანა-ბანა იცი, მაშასადამე თამამთ შეგიძლია  
წერო ლექსები, დამები, მოთხრობები და სხვა,  
ერთი სიტყვით შეიქნე დიდებული მეგანნი, დრა-  
მატურგი, ბელეტრისტი. მართალია, ჯერ დაბეჭდი-  
ლი არც ლექსი გაქვს, არც დრამა და არც მოთხ-  
რობა, მაგრამ რაკი დასაბეჭდათ ვაგზანე, იმ დღე-  
დანვე კი არა, უპრო ადრეც შეგიძლია ავანსათ წარ-  
მოიდგინო შენი თავი დიდებულ მოღვაწეთ, მემ-  
ვიკდრეთ აკვის, შექსპირის, ვიქტორ ჰიუგოს და  
სხვა. ვინ გიშლის ავანსათ განდიდების ჯოჯხე შე-  
ჯდე და იღონეხოტო.

აი კიდევ, მართალია, ლატარეის მომგებანი  
ბილეთი არა გაქვს შექნილი, მაგრამ ვინ გიშლის  
და ან ამისთვის ვინ დაგჯის, რომ მიეცე ტყბილ  
ოცნებას, ავანსათ წარმოიდგინო, რომ მოიგე 200,  
ათასი მანეთი და არა ერთი კაპიციით ნაკლები. რა  
ციხე-დარბაზებს ააშენებ, რამდენ რა კეთილ საქმეს  
დაიწყებ, რამდენ ქვრივ-ობლებს შეუშრობ თვალგ-  
ზე გაქირვების ცრემლებს... აი, ასე კარგია ოთხმოც-  
და ცხრამეტჯერ ავანსი, დიხაც რომ ის არის სიამ-  
ტყბილობის მომნიჭებელი...

მაგრამ არ მემისი ავანსათ ტირილი, გლოვა,  
ვიში, ვი-უი! ნუ სტირი მოსიყვარულე დედავ ავან-  
სათ შენს საყვარელ შვილს. მართალია, ის განსაც-  
დელშია, ბრძოლის ველზე, ან სარეცელზე წევს  
ფილტვების ანთებით ავთ, მაგრამ მინც ნუ სტირი,  
ნუ ისიგებ თვალებს, ნუ იწყალე გულს, ტირილ-  
სა და გლოვას ვინ მოგიშლის მერმე, როცა შენს  
მტერსა და აეს, შენს მოძულესა და ავის მდომელს  
(აბა, შენ ჯვარი გწერია!) შვილი მოუკვდება, იტირე  
მერე და ნუ ტირი წინ და წინ, ნუ ტირი ავანსათ!

ნურც თქვენ ტირით ავანსათ „მაძულის შვი-  
ლეშო და ეროვნების ბურჯებო“. მართალია, თქვენს  
კვარცხლებეს, თქვენს საბრძანებელს დიდი „ერო-  
ნული საფრთხე“ მოელის, ირავშებე მანეთიან წვე-  
რების ლაშქარი და ლამის იერიშით აღვაგოს სამ-  
მანეთიანთა ბანაკი, აიღოს მათი ციხე-სიმაგრე, წა-  
ბილწოს ენა, წარყენას და გაანელოს ეროვნული  
თვით შეშენება, მაგრამ მაინც ნუ ტირით ავანსათ  
და ნურც ილანძღვით ავანსით, ჯერ ხომ გული  
საგულესა გაქეთ, მაშ რა გატირ-ვაწრუწუნებთ!

„მე მაინც სულ ვიციანი, არ ესტირი!“

ავანსით ვიცი, რომ თქვენ ეს გაგვიკვირდებათ,  
რომ მე დღესაც სილილის გუნებაზე ვარ, რადგან  
დღეს „ეროვნული გლოვა“ გამოცხადებული, რად-  
გან აღარ გვეყავს **პაპაძე**, მაგრამ მე მას არ ვივლოვ  
მე მას არ ესტირი. აკაკი სიცილოს მეფე იყო, მისი  
სიციცხლე კრემლ-ნალექელში ნალესი სიცილი იყო.  
მის პირველ გამოსვლასაც „იარანაუნებო“ ავანსით  
მტრულათ შეხედნენ „აკაკიებო ბაკაკიებო, რიონ-  
ბო გოგატელეებო, საიდან ჩხავითა!“ შესძახეს, მაგ-  
რამ ის უჯოხო გენერლებს მედგრათ შეხედა და  
შესძახა:

„იარალო ხარა-ბუზა,  
სიტყით სწორია, საქმით კუზა,  
გაგფრენია შგნი მუზა  
ბუზ, ბუზ, მუზა-ბუზა!“-ო.

და აი აკაკიმ თოელ სიციცხლეს ემსახურა ჩვენს  
ქვეყანას საქმით, მისი მუზა არასდროს არ დახურ-  
დავებულა—ის ყველას დასცინოდა, ყველას შესა-  
ფერი იუმორით უმსპინძღედებოდა და აი ლიდებუ-  
ლი მოხუცი ლიდებულ ვალ-მოხდილი მოკვდა, მაგ-  
რამ რაკი მისი მუზა არ იყო კუზა და რაკი აკაკი  
სახალხო საკუთრებათ გადაიქცა და რაკი ეს ხალხი  
მას აფასებს, ამიტომაც მე მას არ ვტირი—პირიქით  
მიხარია და ვიციანი. ვიციანი საღის სიცილით...მი-  
ხარია, რომ აკაკიმ იციცხლა ხალხისთვის და მას  
ეს ხალხი აფასებს და ვინც აკაკისებერ სამშობლოს  
წინაშე ვალს მოიხდის, იმდენს იციცხლებს და  
იციცხლებს ნაყოფიერად, მე მას არ ვივლოვებ.

„მე არ ესტირი იმ ორ შვილს  
ომში მოკლულს გიმორულალო,  
ვივლოვ ცოცხლად დარჩენილს  
უსახლოთ... ვირულალო!“

მაშ მეც შემიძნეოთ თუ **გმირთა გმირს აკაკის**  
არ ვივლოვ. ის რომ არ ვივლოვო, განა ცოტა მყავს  
საგლოვი უსახელო . . . . .

**პიტნა.**

**გობტაიას ჩივილი**

ვანკითხვის დღე დადგაო, რომ იტყვიან, სწო-  
რეთ იგია, ისეთ ვისვარა ყოროსფული ხუცესი რომ  
ამბობდა ანტექრისტე მოვაო, ნამდვილათ მოდის,  
არ უნდა ამას ლაპარაკი. ბარემდაც თუ მოსავალია,  
მევიდეს და ის იქნება. მეტი რაღა დაგვემართება!  
ოღონდა სული გვიღვია კისერში, თვარა ჩვენი  
ცხოვრება გროშათ არ ღირს, არ გამოიწყრეს ღმერ-  
თი. ამ გაკვირვების დროს ღმერთმაც ქე მოგვიძულა.  
სიმიინდი ჩვენთვის არაა და სარჩო-საბადებელი.

მუშა ხელი თუ იყო სადმე, ყველა ვიანშია და  
მათი დაბრუნება ღმერთმა იცის. ქვრივითა და ობლ-  
ებით ივსო ქვეყნიერება და მარჩნალი არსადაა.  
უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწიაო, რომ იტყვიან,  
სწორეთ ისეთა. ვინა და უბედურებაც ჩვენ გვარ-  
გუნა ღმერთმა და მოუსავლობაც. ოჯახიშვილი რომ  
წლოს სარჩო საბადებლათ ორ ძარს სიმიინდს ძლივს  
მეიწვევს, იგი ოჯახიშვილი კი არა, დაფსებული და  
გადაშენებული გლგებია. ორ ძარ სიმიინდს სხუშის  
ღორებს ვაძლევდი სასუქათ შობა-ახალწლოზა, ახლა  
კი მე თვითან ერთი კეკალიც სანატრული მაქვს.  
მუშაობა არსადაა რომ პატარა ხელი მეთიბოს კაც-  
მა, სიმშილს გოღურჩეს, მტერს გოღუდეს და მოყვა-  
რეს.

ამისთანა სიციცხლეს შეარცხენია ღმერთმა!  
ორი კაბეიკი კაცს არ გქონდეს, რომ პრანკიკებზე  
ბაღნებს ფრგინანი კამფტეი უყიდო, აგი სიცი-  
ცხლევა?!. სიციცხლე კი არა, გაძილებება, მაშ  
ნუ წამიწყებება! ამ ჩვენმა ვაჭრებმაც ხომ გეიწყე-  
ტეს ნაშუის ძარღვი. მართალია, არც სხუშის წი-  
თღლებოდენ სირცხვილით, მარა ახლა თელათ გე-  
ღორინე. იპოისფულზედ „ღვინოზის“ გვახლენვიტებენ.  
ღრა იპოის და ამოგვაძრენ სულე, შეგვბრენ და  
შეგვკამენ, კისრიდან დაწყებული კაკალ კუდის რი-  
კამდე გადაგვაშლიანეს ტყაე! დაფრით ტყავამჭირა-  
ლი და გაპარტახებული ღვთის ამარა და არ ვიცი,  
რავა იქნება ჩვენი პრაქაოლი!

„მე ღმერთ გამოწყრალ თათარსაც ახლა გაახსენ-  
და ძველი ინტერესი და მოჩოჩანეს ისაია ხუცესის  
ჯორივით. თუ ახლა კიღო მაგან ვოლა-ბილა გვა-  
ძახა და ბაიათის სიმღერა დაგვაწყებო, აშენდება  
ჩვენი კერია. კაცს ჯერეთ რევიანათ წიღმა წერა  
ვერ მომიხერხებია და თუ ახლა უკუღმა-დამაწყებინენ,  
უკუღმა იაროს ივენის გვარმა, რაღა მერე ჩემი სი-  
ციცხლე.

დღდა, რა დღეს მევესწარიო! ნურუღერი ახლა  
ჩვენ ქალებსაც ააფრებენ წინ?! უი, დასწყევლოს

ღმერთმა მათი სახენებელი. სახე დაფარული ქალი, შეეცაო, ცირკის მასხარა კი არაა. ის არ ჯობია, რომ გაზუტკუნებულ ბარიშნას თვალს გადაუბაქუნებ და ბრწოულივით ლოყაზე ხელს მოუკაცუნებ! თუ ვერაფერს გამოარჩებ, ქეძინაც თვალს წყალს დააღლიეებ და გულის ქიას გაახარებ. მარა თათარს ვინ მისცა შენა და ლახნა.

თუ თელთ მოგვიძულა იესო მაცხოვარმა და არ ჩავვარდით მგე მაშადების ხელში, იცოცხლოს კოსტაიამ, მე გაის კოხინჯრობას კამანია გავმარო და სულ „ურა“ ვიძახო. საუღლე ხარს გავეიდი და ამ კამანიას კი ვიზამ, თუ შვიდობით გადაგვარჩინა ღმერთმა.

ჩემი ცოდვა მიეცა იმ ღმერთებს, რომ მავგენს წელი გაუმგარა და ვინა დააწყებია, თვარა ჩვენ სათუღო და საშოზრად გვექნებოდა საქმე!

ძალიან მდაზელ კი მევიდა ამ ბოლო დროს ეს თანთარი! უყურეთ რავა ძველ ექვსიღებს დოუწყო ძებნა! მინდობა ყმაწვილმა: ბათუმი, ყარსი, არდავანი!

თუ გავკიმეთ განდავანი და ფიეებ-ქაქების აბელთია გოუკეთეთ ხომ კიი, თუ არა და კინჩხის და სიქრის ტუხა მის და ანასუნი და აბრადინი ჩემს საქმეს.

**გოგია.**

**ბურული სცენა**

**წერილი ბრძოლის ველიდან.**

კარგი ხანია გაზეთებში სწორდენ, რომ როცა ხა და სცხა ვერაპოული და მთელი ქვეყნიური ჩხუბი იქნებოა, მარა მე თუ მომესწრობოდა, ავი რავა მეგონა!

ერთი ენახოთ, შეიქნა ასეირი-სასვარიე, გაპოცხად ჩხუბი, დეიქება პირველმა ზარბაზნმა ექვინთვის ქუხილსავით თუ არა გამოგვეწყვეს პაკრის ფერათ, მოგვკიდეს ზურგზე ჩვენი ბარგი-ხარხანა და ამოგვაყოფიეს თავი გერმანის საზღვარზე.

მივედი, ვიშორები აქეთ-იქით შორაზიას ჯოის ხარსავით, მარა არც ღმერთი ჩანა და არც ისი ლანდი.

მოვიდა კამანდერი, გამოგინცხადა ჩვენი ძმები კიი ხანია რაც სისხლს ღერიან სამშობლოს-ფინო, ჩვენც გვინდა ყოხალობაო, დღეს თუ ხელ ენც შევეტყუებით შტურსო, აბა თქვენ იცით, ოგორ მასახელბეთო და მაგიერი მე შკითებ-გა-ქედავ გულ-მკერდს ჯერებით და მენდლებითო.

ჩვენც რასაკვირველია—პასტარაემსია ვაშე სსაკო-როლიეო—მივძახებთ.

შემდეგ გვითხრა—ცხლა იძინეთ მოსვენებით, მტერი შორს არისო... დედაე, ძილის გამეტი თუ არაფერი გინდი, ძილი ჩემი საქმეა მეთქი, შეეძვეარი ფაცხაში, წვიხიხე ჩემი შინელი თავზე და ამოუშვი პირდაღებულთ თავადივით ხვრინვა. თურქ რა ვახვრინებს, ავერ ნახავ შენ სივს, მიეცა პაწვი.

წამოგვეყარეს ძაღლის იალონზე—ავი დოზო-რიო, ავი პატრულიო, ავი ყარაულიო. ამან იქით წვიდიღსო, იმან აქეთ წამოვიღსო. ამ დავიდარაბაში რომ ვართ—შეინძრა მიწა, შეიქნა ქვეა-ქუხილი, გამოუშვა და გამოუშვა შემოღგამის წვიმასავით ტყვია, მარა რა გამოუშვა!..

— ჰეი მავას ბიჭო, უშველეთ, მოვიდა ლემენციო—იყირა კამანდერმა,—ვსწყვეტეთ კურდღელსავით,—ამოაქედით ზოგმა ქვას, ზოგმა ხეს, ესტოლილობთ აქეთ-იქით, იქით-აქეთ, აღმა-დაღმა, უთვალოდ, უთვაოდ, აბა სად ასწევ თავს? ფშეიტონობს ტყვია, ზუნზულობს ყუმბარა. სიდან ვანდა, სიდან მოქროლდა! ამინუჩი ჩიოდენ—ას ვერსხვოა, ახლა სიდან ამოძვრენ, მარა უყურე ღმერთებს, დასურ ღმერთები! გუუწყვეტი ავტომობილზე ზარბაზნები და პულიმიოტები და რა აქ ზორი, ამინუჩი თუ უნდა ას ვერსზე გადაქროლ-გადმოქროლებენ. ავტომობილი საუღობათ ღმერთმა დეიკვას და ნახვით, ვერ მოგატყუებ, ერთის გამეტი არც კი მი-ნახავს, იგიუ ბათომში კომენდტი ოჯღა დღვეინახე, კომენდატს და ნამესნიკს გარდა თუ ჩიეჯდომებე-ბოდა შით, არც კი მეგონა და უყურე—ვინცხამ ამ ნემცებს ზარბაზნების სათრევად გაუკეთებენ.

ხო და იმის მოგახსენებდით—ესტოლილობთ წალმა-უყულმა მეთქი, რომ ამ დროს გვიბრძანა კამანდერმა—„პერიოლო“. რა გზაი გაქ, რომ არ წახვალ, ავდექი გავსწიე წინ, მიხვალ, მარა სად მიხვალ—მუა ხოშაკაილსავით, ჩხოის კაკალსავით პულიმეტის ტყვია, ზარბაზნის ყუმბარა. რომ გავბთეს, მე შენ გეტყვი, არ წავაძრობს თავის ხაზს, არ გაგიტებს იტბიბარს, არ წავიხივთენ ვანშმის მადას, არ დავატევიბებს გურიას, არ დავატევიბებს ავუნაის ღორის თავსავით კბილებს თუ რა გინია... მარა რას იზამ, დედაბერსავით ტირილს ხომ ვერ დღვიწყებთ, ხომ არ მოგვაყავთ გურიას—სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა და ჩვენც თუ დავრჩით ცოცხალი—სახელოვნათ გვინდა და თუ მოვევდებით ჩხუბში კი არა, კერვის ძირში კვდებოკატი, ვითამ რავა, თუ განწირული ვარ და იმოდენ სერვისესლში მე მომკლავს და ანანინი ჩემს საქმეს.

**პ. ვლენტი.**

### წითელი ბრიგადა.

მზე მთის წვერით პირ-მცინარი ველზე ოქროს ქათამს ქსოვდა,  
ნაკადული კისკისთა კორღით კორღზე გადახტოდა.  
თეთრი ბილილას სიყვარულით და ალერსით პირსა მზანდა;  
ტყე საამოთ შრიალებდა, საიდუმლო ზღაპრებს სთზავდა.  
ბულბული ვარდს უგალობდა, მისთვის ახალ ჰანგებს ჰქმნიდა;  
გვირილა კი მზის სხივებით ოქროს ქოჩორს ივარცხნიდა.  
სიო ტყბილათ სისინებდა, მზურვალე გულს შეგებს ჰგვირა  
და ბოსტანში მზის-უმზირა ინახოდა, თავსა ხრიდა.  
ჰორიზონტზე ბროლის სარკე ციალებდა, ნელ-ნელ კრთოდა  
და სიცოცხლის ანგელოზი უკვდავების ჩარხსა ქსოვდა.

უცებ ელვა გაიკლანა, ცას გააკრა ცეცხლის ზოლი;  
მთის ნაპრალით ამოვარდა ჯოჯოხეთის შვიი ბოლი.  
ცა შეირყა. — შშვიდ მიდამოს ქარიშხალმა დაუბერა  
და სიკვდილმა თვის ცეცს პირი აულესა, დაუფერა.  
ტყე-ველს ცეცხლი მოეკიდა, მთით გადმოსქდა ნიაღვარი  
და გაისმა ქვეყნად გმინვა, კენესა გულის შესაზარი.  
დასქნა ვარდი, ბულბულს გული დაუღარა სევდის ქიამ  
და შეგბოჭა ქვეყნიური არსებობა ომში, ტყვიამ.  
და ინგრევა ყველაფერი აგებულია რაც ძველათა;  
იხოცება, სწყდება ხალხი და ვინ იცის, — რისთვის, რათა?..

ჰორიზონტი აღარ დღეავს, შეიღება სისხლის ორთქლით  
და სიცოცხლის ანგელოზი ლოყებს იხოკს, სტორის მოთქმით.

გ. ლადოშვილი.

### „მათრახის“ დეკრეტი

(საკუთარ კარგსაოდენტებოსავან)

**ლონდონი.** ნემენცებმს ერთი გემი მოვიწყვედიეთ ოკეანეში და დავლუბეთ. ნემენცებმა ბრძოლა ვერ გავციბედეს და მიიმალნენ ბურუსში

**ბერლინი.** ოკეანეში ინგლისელების ერთი გემი მოვიწყვედიეთ და დავლუბეთ. ინგლისელებმა ვერ გავციბედეს ბრძოლა და ბურუსში მიიმალნენ.

**პარიზი.** ოფიციალური ცნობა მთავარ შტაბისავან: ერთი კვირის განმავლობაში ჩვენმა ჯარმა ათი ადლის მანძილზე წინ წაიწია. ნემენცებმა დაიხიეს. განთიადისას აპირებდნენ იერიშით მოსვლას, მაგრამ ზარბაზნები დაუშინეთ და უკუ დაქციეთ.

**ბერლინი.** ოფიციალური ცნობა: ჩვენმა ჯარმა ერთი კვირის განმავლობაში ათი ადლის მანძილზე წინ წაიწია. ფრანგებმა დაიხიეს. განთიადისას დააპირეს ჩვენზე იერიშით მოსვლა, მაგრამ ზარბაზნები დაუშინეთ და უკუ დაქციეთ.

**პარიზი.** იმპერატორი ვილჰელმი ჯავრით ავად გახდა. მისი მორჩენა საეჭვოა.

**ბერლინი.** საფრანგეთის მთავარ სარდალი გოფრი სიკვდილის პირას არის. მისი მორჩენა საეჭვოა.

**კიპენზაგენი.** იმპერატორი ვილჰელმი და საფრანგეთის ჯარის სარდალი ძლიერ კარგათ არიან. ერთმანეთს მისალოცი დევეშები გაუგზავნეს.

**ბუჰარესტი.** რუმინია ნეიტრალიტეტს არ დაარღვევს. აქ ასე ამბობენ: ვიდრე ტრანსილვანიას ჩვენ არ მოგვეცემენ, ომს არ დავიწყებთ. და თუ ტრანსილვანიას ჩვენ მოგვეცეს, მაშინ ომში ჩარევა ჩვენი რაღა საჭიროაო.

**სოფია.** ბულგარეთი ჯერ არ აპირებს ომში ჩარევას. ბულგარელები ასე ამბობენ: ვიდრე მაკედონიას ჩვენ არ მოგვეცემენ, ომში არ ჩავერევით და თუ მაკედონია ჩვენ მოგვეცეს, მაშინ რაღა გავსაულებლავს, ომში ჩარევა რაღად გვენდაო.

**რომი.** იტალია ასე ჰფიქრობს: ავსტრი-უნგრეთს მივემხრო საფრანგეთი გავლახავს, საფრანგეთს მივემხრო — ავსტრი-უნგრეთი გავლახავს. სჯობია ჩვენ ქერქში დავჩრბეთ. ვისაც მტერი მოერევა, ჩვენც დამარცხებულს დავერევით.

**ათინა.** თათართან ჩხუბს ჩვეულნი ვართ. თუ დამარცხდა, ორიოდ კუნძულს კიდევ წავიართმევთ.

**ტაკო.** იაზონამ გამოაცხადა: ეს ცინდოა ხომ წავართვით გერმანიას. კარგი ლუკმა, მეტი არა მინდა რა. ეხლა იმდენი იოზონ ვეროპილებმა, სინამ მოსწყინდებათ. რა ჩვენს საქმეს!

**ნიუ იორკი.** მადლობა მღერძს, ამერიკა შორს არის ბროზლის ველიდან. იმდენი იოზონ ვეროპილებმა, ვიდრე მოსწყინდებათ.

**თავრიზი.** სპარსელები ასე ამბობენ: ოსმალო მოვა, თავს დაუყრავთ—ბალი ალა, სალა-მალექ-რუსი მოვა, თავს დაუყრავთ. ზღრასტი პოეო-ლუსტა.

**ჩრდილოეთის პოლიუსი.** აქ მოვიდნენ ჰაეროპლანტებით: ინგლისელი, ფრანგი, ნემნეცი, რუსი, ავსტრიელი და ამერიკელი. რუსმა, ნემნეცმა, ფრანგმა, ინგლისელმა და ავსტრიელმა ერთმანეთი დახოცეს. ბურთი და მოედანი პოლიუსზე დარჩა ამერიკელს. შეერთებულ შტატების დროშა ააფრიალა და გამოაცხადა ჩრდილოეთის პოლიუსი ჩემოთა.

**მარიხი.** აქ მოვიდა ჰაეროპლანტი „მათახის“ კორესპონდენტი და დედამიწაზე ატეხილ ომის ამბავი მოიტანა. მარიხის მცხოვრებნი მეტად ააღელვა ამ ამბავმა. გაოცებულნი არიან: ნუ თუ დედა-

მიწაზე ისევ ბარბაროსული ხანა ფეხს დაუდგინებენა ომიანობას თავი არ დანებოა. მარიხის ერთმა რესპუბლიკამ გადასწყვიტა გამოუგზავნოს დედამიწას ულტიმატუმი ორი ღლის ვადა მოეცემა, მორიგდით და ომი მოსპვით, თორემ კულ დღეს დაგაყენებთ: კულიან ვარსკვლავს დაგატაკებთ და დედამიწის სახსენებელი აღარ იქნებათ.

მოველით მარიხიდან ახალ ამბებს.

## მათახის ფოსტა

**ჩოხატაურში.** ს—მელი-ს. გვატალე მომავალ კვირამდი და მაშინ:

„სათითათო ჩამოგივლით სამარცხვირო რა და რა ქნეს“ და მაშინ თქვენი ს მელიო-ბაც მიხედება ვინ ყუფილა სამათახო.

**ზახვი.** დობიორელს. აი, ქვეყნის დალუგვა! სხვა ადგილასაც გვსმენია:

„ორ ქალს ერთი გაუღახავს, გაღახულს ერთისათვის გადაუხდია, მაგრამ ერთის კიდევ მართებს. ასეთი ამბავი დ ისიც ამ დროს მგონი მარტო იავრო-აფროსიანისათვის იყოს საყურადღებო და თუ რა ხდება დობიროში ან წინათ რა მომხდარა ამისი გამოკვლევა მათ აქვთ მინდობილი და მომავალ ნომერში მათი „ნაშრომის“ შედეგაც დაიბეჭდება.“



- ეს რა ამბავია?
- პურსა სტაკებენ ერთმანერთს.
- ჰო მართალა, 23 იანვარს პური ძნელი საშოვარი იყო ტფილისში. ეხლა რა გვიქვრს, ფქვილი მევერი მოგვივიდა.